

თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ნიმუშის აღებისას

ანა თავაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ანა თავაძე, ა.თავაძე

16.06.2023

სარჩევი

აბსტრაქტი	v
<i>საძიებო სიტყვები:</i>	vii
ABSTRACT.....	vii
შესავალი	1
1.თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიის არსი და ბუნება	5
1.1 თვითინკრიმინაციის როლი ნიმუშის ალბისას.....	9
1.2 ბრალდებულის უფლებების ზოგადი მიმოხილვა	10
1.3 ნიმუშის ალბა, როგორც საპროცესო მოქმედება.....	12
2.დუმილის უფლება, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია და მათი გავრცელების ფარგლები	14
2.1 აბსოლუტური თუ ფარდობითი უფლებები?!	15
2.2 უდანაშაულობის პრეზუმფცია.....	17
3. საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების მნიშვნელობა ზოგადად და მასთან დაკავშირებული ბრალდებულის უფლებები.....	18
3.1 პირის უფლება არ მიიღოს მონაწილეობა საპროცესო მოქმედებათა განხორციელებაში.....	21
3.1.1 განაჩენის ან სხვა სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა?!	21
3.2.1 საგამოძიებო ორგანოთა ვალდებულება.....	24
4. ბრალდებულის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებები	25
4.1 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის ანალიზი.....	25

<i>4.2 იძულების პროპორციული ძალის გამოყენება.....</i>	28
5.მტკიცებულებების მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში	29
<i>5.1 მტკიცებულებათა დაუშვებლობა და მისი სამართლებრივი შედეგები.....</i>	31
6.სასამართლოს როლი პირის უფლებებთან დაკავშირებით	35
<i>6.1 ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა.....</i>	37
მეთოდოლოგია	39
დასკვნა	41
რეკომენდაციები.....	46
ბიბლიოგრაფია.....	47

აბსტრაქტი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა განამტკიცებს ისეთ უმნიშვნელოვანეს უფლებას, როგორცაა პიროვნების ღირსების ხელშეუვალობა. აღნიშნული უფლება თავისი არსით პირდაპირ უკავშირდება წინამდებარე ნაშრომში განხილულ საკვლევ თემას, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიას. ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენდა იმ პრობლემის წარმოჩენა, რომელიც უკავშირდება თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიის როლს საპროცესო მოქმედების განხორციელებისას, ნიმუშის ალებისას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ბრალდებულისათვის უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც აღიარებულია როგორც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო პრაქტიკითა და შეთანხმებებით.

უმნიშვნელოვანესი იყო საკითხის მიმოხილვა იმასთან დაკავშირებით, იცავს თუ არა პირს თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია ნიმუშის ალებისას, თუ არსებობს სხვადასხვა საგამონაკლისო შემთხვევა, რა დროსაც შესაძლებელია შეიზღუდოს აღნიშნული უმნიშვნელოვანესი უფლება. როგორც ქართული, ისე ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებების მიმოხილვამ ცხადყო, რომ შესაძლებელია რაღაც უფლებები პირისათვის არ იყოს აბსოლუტური და რომელთა შეზღუდვა შესაძლებელია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. მიმოხილული იურიდიული ლიტერატურიდან გამომდინარე, მტკიცებულები, რომლებითაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებს, შესაძლებელია დაიყოს ორ ნაწილად: ერთი, რომელიც არსებობს ბრალდებულის ნებისაგან დამოუკიდებლად და მტკიცებულებები, რომლებიც ხელშესახები ფორმით არ გვხვდება და არსებობს პირის გონებაში. წარმოდგენილი კვლევიდან გამომდინარე, ცხადი გახდა, რომ მხოლოდ იმ მტკიცებულებების მოპოვება შეიძლება იძულებით, რომლებიც არსებობს ბრალდებულის ნებისაგან დამოუკიდებლად.

წინამდებარე ნაშრომში საკვლევ თემას ასევე წარმოადგენდა საკითხი, ბრალდებულის მხრიდან საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარი შეიძლება გახდეს თუ

არა მისთვის ახალი ბრალდების წარდგენის საფუძველი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას ან/და მისი შესრულებისათვის ხელის შეშლას. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმოხილულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლიდან გამომდინარეც მიდგომა არაერთგვაროვანია. როდესაც ბრალდებული წინააღმდეგია, მისგან ნიმუშის აღების თაობაზე საჭიროა სასამართლოს ნებართვა, რომლითაც გათვალისწინებულია ასევე წინააღმდეგობის არსებობისას იძულების პროპორციული ზომის გამოყენების შესაძლებლობა. არსებულმა პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ პირის მხრიდან ნიმუშის აღების თაობაზე უარის გაცხადებისას, იძულების პროპორციული ზომის გამოყენების გარეშე ხდება მისთვის ბრალის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლით წარდგენა; რაც უსამართლოა, ვინაიდან საჭიროა სასამართლოს განჩინებით გათვალისწინებული იძულების პროპორციული ზომის გამოყენება.

წინამდებარე ნაშრომში კვლევისას პასუხი გაეცა კითხვას, რომ საპროცესო მოქმედების განხორციელებისას, ნიმუშის აღებისას პირს არ იცავს თვითინკრინაციისაგან დაცვის პრივილეგია და არის საგამონაკლისო შემთხვევები, რა დროსაც შესაძლებელია შეიზღუდოს ბრალდებულისათვის გარანტირებული უფლება.

ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მტკიცებულებათა სახეების მიმოხილვას. არსებობს როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური მტკიცებულებები. მიმოხილული იურიდიული ლიტერატურიდან და გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ის მტკიცებულებები, რომლებიც არსებობს მატერიალური სახით და ბრალდებულის ნებისაგან დამოუკიდებლად, როგორცაა, მაგალითად: სისხლის, შარდისა თუ ნერწყვის ნიმუშები, შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს იძულებით, ბრალდებულის ნების გაუთვალისწინებლად. ამ შემთხვევაში საჭიროა საკანონმდებლო მოთხოვნათა ზედმიწევნით დაცვა; კერძოდ: სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვა და წინააღმდეგობისას იძულების პროპორციული ზომის გამოყენება.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ საგამონაკლისო შემთხვევებს, რა დროსაც პირს არ იცავს თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია, განამტკიცებს როგორც ქართული, ასევე უცხოური პრაქტიკა. წინამდებარე ნაშრომის საკვლევი თემა შეეხებოდა ამ შემთხვევაში ნიმუშის აღებას, როდესაც დასაშვები აღმოჩნდა იძულების გზით, ბრალდებულის ნებისაგან დამოუკიდებლად მისი მოპოვება.

სამიუბო სიტყვები:

თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია, ნიმუშის აღება, საპროცესო მოქმედება, საგამომიუბო მოქმედება, პიროვნების ღირსების ხელშეუვალობა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, ბრალდებულის უფლებები, მტკიცებულებათა სახეები, მატერიალური და არამატერიალური მტკიცებულებები.

ABSTRACT

Criminal procedure legislation of Georgia will strengthen such an important right as the inviolability of personal dignity. In its essence, the mentioned right is directly related to the research topic discussed in this paper, the privilege of protection from self-incrimination. The main goal of the paper was to present the problem related to the role of the privilege of protection against self-incrimination in the implementation of a procedural action, when taking a sample. The mentioned principle represents the most important fundamental right for the accused, which is recognized both by the current legislation of Georgia and international practice and agreements.

It was important to review the question of whether the privilege against self-incrimination protects a person when taking a sample, or whether there are various exceptional cases in which this important right can be limited. Both Georgian and European The review of court decisions has made it clear that some rights may not be absolute for a person and that can be limited in the cases provided by the law and according to the established procedure. Based on the reviewed legal literature, the evidence by which the parties prove certain factual circumstances in court can be divided into two parts, one that exists independently of the will of the accused and evidence that is not tangible and exists in the mind of a person. Based on the presented research, it became clear that only those evidences that exist independently of the will of the accused can be obtained by force. In this paper, the research topic was also the issue of whether the accused's refusal to testify against himself can serve as a basis for presenting a new charge against him under Article 381 of the Civil Code of Georgia, which provides for judgment or other Failure to comply with a court decision and/or obstructing its execution. Regarding this, the decisions of the Supreme Court of Georgia were reviewed, based on which the approach is not uniform. When the accused objects to taking a sample from him Regarding, the permission of the court is required, which also provides for the possibility of using a proportional measure of coercion in the presence of resistance. The existing practice has shown us that when a person refuses to take a sample, a proportionate measure of coercion should be used without it, he is

charged under Article 381. Which seems to be unfair, since first it is necessary to use the proportional measure of coercion provided by the court's ruling, and then it is already possible to present a new charge to the person.

The research in this paper answered the question that during the implementation of a procedural action, when taking a sample, a person is not protected by the privilege of protection against self-incrimination, and there are exceptional cases when it is possible to limit the right guaranteed to the accused.

Considerable attention was also paid to the review of types of evidence. That there is both tangible and intangible evidence. Based on the reviewed legal literature and decisions, we can conclude that those evidences that exist in material form and independently of the will of the accused, such as blood, urine or saliva samples, can be obtained by force, regardless of the will of the accused. In this case, it is necessary to strictly follow the legal requirements. In particular, petitioning the court and using a proportional measure of coercion in opposition.

Finally, it should be said that exceptional cases, when a person is not protected by the privilege of protection against self-incrimination, will be reinforced by both Georgian and foreign practice. The research topic of the present paper was about taking a sample in this case, when it was found admissible to obtain it through coercion, independent of the will of the accused.